პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი არმიელი

1923
ნოემბერი
2
პარასკევი
მზე ამ. 6 ს. 13 წ.
მზე ჩავ. 7 ს. 18 წ.
შესან. მოვლენათა დღიური

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სახაზლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მან. 20 კ.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 383 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 5 კაპ. ჩერ. № 383

გაზეთი **„წითელი არმიელი"-ს** კანტორა
ამით აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ,
რომ 1 **ნოემბრიდან „წითელი არმიელი"**
ღირს ნომერი 5 კაპ. ჩერვონეცით.
თვიურად 1 მან. 20 კაპ. ჩერვონც.
რედაქცია სთხოვს ხელის მომწერთ დააჩქარონ ფულის შემოტანა.

ფაშისტური დიქტატურა გერმანიაში.

ძნელია იმის თქმა როგორ სახეს მიიღებს გერმანიის ამბები ახლო მომავალში, მაგრამ დღეს კი ჩვენ ფაშისტურ დიქტატურის დამყარების მოწმე ვართ გერმანიაში.

საქსონიის წითელი მთავრობა გარეკა რეისხვერის ხიშტებმა. სასტიკი რეაქცია გამეფდა საქსონიაში. ბავარიის დიქტატორმა ფაშისტ კარმა თავისი თავი გამოაცხადა სრულიად გერმანიის დიქტატორად და მიმართა გერმანიის ყველა სახელმწიფოებს იცნონ მისი დიქტატურა. შტრეზემანის კაბინეტიდან განდევნილნი არიან სოციალ-დემოკრატები და ახალი წმინდა ბურჟუაზიული მთავრობის შედგენაა მოსალოდნელია. ბავარიის ფაშისტები შეიარაღებულ ძალებს აგროვებენ წითელ ტიურინგიის საზღვარზე და რაც დღეს საქსონიის წითელ მთავრობას დაადგა ის ბედი მოელის წითელ ტიურინგიის მთავრობასაც. ფაშისტებმა დროულად სცნეს თავისი დიქტატურის გამოცხადება. დემოკრატიულ, პარლამენტარული კონსტიტუციონური ბრძოლის მეთოდი დრომოჭმულად აღიარა მან და დაადგა გაშიშვლებულ დიქტატურის გზას. სხვა გამოსავალი არც არსებობს დღეს გერმანიაში—ან ფაშისტური დიქტატურა (რა თქმა უნდა მისი არსებობა ხან მოკლე იქნება) ან და პროლეტარიატის დიქტატურა.

ჯერ-ჯერობით ფაშისტებმა გაიმარჯვეს, სოციალ-დემოკრატიის ლოცვა-კურთხევით; როგორც მემარჯვენე ისე „მემარცხენე" მიმდინარეობის გამყიდველმა მოქმედებამ ნიადაგი მოუმზადა ფაშისტურ დიქტატურას. ჩვენ თავიდანვე ვწერდით, რომ შტრეზემანის კოალიცია გარდამავალია, რომ მისი არსებობა მეტად ხანმოკლეა. ეს დღეს სავსებით გამართლდა. შტრეზემანის კაბინეტიდან გადიან სოციალ-დემოკრატები.

სოციალ-დემოკრატიამ გააკეთა თავისი საზიზღარი საქმე, მუშათა კლასი დაუმორჩილა მან ფაშიზმს, დღეს მას შეუძლია წაბრძანდეს. სოციალ-დემოკრატიას გამოეცალა არსებობის ობიექტიური პირობები.—პარლამენტარიზმმა, დემოკრატიამ ადგილი დაუთმო დიქტატურას. დღის წესრიგში დადგა ხიშტი ზარბაზანი; სოციალ-დემოკრატია ისტორიას უნდა ჩაბარდეს თავისი შავბნელი საქმენი—საგმირონით. ასედაც ხდება.

მართალია საქსონიის წითელ მთავრობის ნანგრევებზე დგება სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, მაგრამ ეს საქმეს არსებითად არ სცვლის. ცენტრალურ მთავრობიდან განდევნილ სოციალ-დემოკრატების ბედი არ აცდება საქსონიის სოციალ-დემოკრატებს. საქსონიაც ფაშისტურ გადატრიალების წინაშე დგას.

საქსონიის წითელ-მთავრობის ჩამოგდება—ეს მხოლოდ ფაშიზმის დროებითი გამარჯვებაა: მოსალოდნელია აგრეთვე დამყარდეს მთელ გერმანიაში ფაშისტური დიქტატურა მაგრამ, ვიმეორებთ—ეს არ ნიშნავს გერმანიის რევოლიუციის საბოლოოდ დამარცხებას. ნაწილობრივი და დროებითი დამარცხება გერმანიის მუშათა კლასის—არ არის გერმანიის რევოლიუციის დამარცხება.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ კიდევ შესძლო მუშათა კლასის რიგების დაშლა. გადამწყვეტ ბრძოლას პროლეტარიატი ვერ შეხვდა დარაზმული და გაერთიანებული. სოციალ-დემოკრატიამ მასსების თვალში საბოლოოდ გაიტეხა სახელი. ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს მის გახრწნას.

გერმანიის მუშათა კლასი კი კომ. პარტიის მეთაურობით შესძლებს თავის რიგების ხელახლა განმტკიცებას. მუშათა კლასისათვის დიდი გაკვეთილია საქსონიის ამბები.

ვერავითარი ძალა ვერ დაიხსნის გერმანიას რევოლიუციისაგან. ყოველგვარ დაბრკოლებებს გადალახავს კომ. პარტია და ის შესძლებს ფაშისტურ დიქტატურის ნამსხვრევებზე ააფრიალოს სისხლში განბანილი წითელი დროშა.

პრესა

პირველ ნოემბრიდან დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელახალი არჩევნები.

არჩევნების დამთავრების შემდეგ კი შეიკრიბება საქართველოს საბჭოთა ყრილობა. მეტად მნიშვნელოვანი იქნება ეს ყრილობა და დიდი ამოცანებიც ექნება მას გადასაჭრელი. სახელმწიფოს საკეთილდღეოდ დაწყებული მუშაობა მან უნდა დააგვირგვინოს. ეს მით უფრო, რომ საქართველოს მთელი მშრომელი მასა ამ მუშაობას სიამოვნებით ხელს შეუწყობს. დღეს თვით ურწმუნო თომებიც, კი დარწმუნდნენ რომ საბჭოთა მთავრობა ეს ერთად ერთი ძალაუფლებაა, რომელს რევოლიუციონურ გზას შეუძლია ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება და მშრომელთა ინტერესების სათანადოთ დაცვა. გაზეთი კომუნისტი ეხება ამ მხრივ კომპარტიის ისტორიულ დამსახურებას და სწერს:

„ქართველი ხალხის სოციალური და ნაციონალური განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ რევოლიუციის გზით, კაპიტალის და მისი ღვიძლი შვილის იმპერიალიზმის დამსხვრევით და კომუნისტურმა პარტიამაც ამ სამი წლის წინათ თვით მშრომელი მასის აქტიური დახმარებით, ერთხელ და სამუდამოდ დაუკავშირა ჩვენი ქვეყანა და მისი მომავალ რევოლიუციას. ამით იხსნა ის მონობისაგან, გადაუშალა მას პროგრესის ფართე პერსპექტივები და შესაძლებლობანი".

ქვევით გაზეთი ეხება მშრომელი მასების დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი და განაგრძობს:

„სამი წლის განმავლობაში ჩვენი მშრომელი მასა შეესისხლხორცა საბჭოთა ხელისუფლებას.

მთელმა ხალხმა საბოლოოდ შეიგნო, რომ საბჭოთა სისტემა, საბჭოთა ხელისუფლება—ესაა მმართველობის ის ფორმა, რომელიც სავსებით და ფაქტიურად გამოხატავს მის სუვერენობას და საშვალებას აძლევს მას კლასიური მტრების მოსპობისა და ცხოვრების ძირითადი გარდაქმნისაკენ.

ამიტომაც ის მთელი თავისი ძალღონით ებღაუჭება საბჭოთა ხელისუფლებას

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალ არჩევნებში მშრომელი მასა კვლავ მისცემს ხმას კომუნისტურ პარტიას, რომელიც მხოლოდ ერთად ერთია საბჭოების ძალაუფლების დამცველი და ფხიზელი დარაჯი".

საბჭოთა ხელისუფლების დროს ცხოვრების ყოველ დარგში მოხდა ღრმა ცვლილებები, რამაც ესოდენ წინ წასწია ქვეყნის აღორძინების საქმე, დაწყებული არჩევნები ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი იქნება.

ტელეგრამები

— საქსონიის ლანდტაგმა ხმის უმრავლესობით პრემიერ-მინისტრათ აირჩია სოციალ-დემოკრატი ფელიში.

— შტრეზემანი საქსონიის ინციდენტის გამო პასუხისმგებლობას თავს ახვევს გესლერს.

— ხემნიცში, ბაუცენში, ფრეიბერგში და ყველა სამთო საერთო გაფიცვაა.

— კარი წინადადებას აძლევს ჟანდარმერიას მჭიდროთ ითანამშრომლონ ბავარიის ფაშისტებთან.

— უკანასკნელი ცნობებით დოლარი ღირს 100 მილიარდი მარკა.

— მეკლენ ბურ-სტრელიციაში დააპატიმრეს 30 კომუნისტი, რომელთაც ბრალს სდებენ ქალაქში ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის მუშაობაში.

— დემოკრატიულმა ფრაქციამ გადასწყვიტა გაუგზავნოს დელეგაცია კანცლერ შტრეზემანს მოთხოვნით, რომ სასწრაფოდ იქნეს მიღებული ზომები ბავარიის მთავრობის წინააღმდეგ.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

წმინდა სამება.

მიუნხენიდან მიღებული ცნობით, კარისა, ლიუდენდორფისა და გიტლერის შორის კავშირი მტკიცდება. გიტლერის ორგანო „სამშობლო" აღნიშნავს, რომ ბავარიამ უნდა დაიპყროს გერმანია, გერმანიის ერისათვის და საზოგადოთ თავის თავს უნდა უცქეროდეს, როგორც გერმანიის ბედის უზენაეს მესვეურს. სიმძიმის ცენტრი უნდა გადმოტანილ იქნას ბერლინიდან მიუნხენში.

ზოლმანის აზრი.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ბავარია უთუოდ გასწყვეტს კავშირს ბერლინთან. ზოლმანმა სთქვა: „ჩვენ უნდა კარგათ გვახსოვდეს, რომ ბავარიის კონტრ-რევოლიუცია დაიწყებს შეტევას დანარჩენ გერმანიაზე".

ჯერ დათვი არ დაუჭერიათ და ტყავს უკვე იყოფენ.

გიტლერის ორგანიზაციებსა და გერმანიის ნაციონალურ პარტიის შორის თავი იჩინა სერიოზულმა უთანხმოებამ, იმ საკითხის გამო თუ როგორი ტაქტიკა უნდა აწარმოონ მემარჯვენეების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ.

ნაციონალური პარტიის წინადადება შექმნას სამწევრიანი დირექტორია, რომელშიაც შევლენ აგრარიების წარმომადგენელი ბარონი გაილი, ოპენი დი სტინესის წარმოებათა დირექტორი—მინუ. ნაციონალური პარტია ხარს უჭერს აგრეთვე გენერალ სექტას თანამშრომლობას.

გიტლერის ორგანიზაციები აცხადებენ, რომ ასეთი დირექტორია არ იქნება საკმაოთ „ნაციონალური" და უარს ამბობენ აგრეთვე სექტასთან თანამშრომლობაზე.

რეაქციასთან საბრძოლველად.

ბერლინის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის პრეზიდიუმმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც დაგმობილია მთავრობის გამოსვლა საქსონიის წინააღმდეგ და მოითხოვს პარტიის ცეკასაგან მთელ ძალების მობილიზაციას რეაქციასთან საბრძოლველად.

ბრძოლა მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისათვის.

საქსონიის ლანდტაგმა ხმის უმრავლესობით 46 ხმით, 18-ის წინააღმდეგ პრემიერ-მინისტრად აირჩია სოციალ-დემოკრატი ფელნში. ნაციონალისტებმა პროტესტის ნიშნად დასტოვეს სხდომა. კომუნისტები გამოვიდნენ დეკლარაციით სოციალ-დემოკრატების მოღალატეობის წინააღმდეგ. 6 ნოემბრისათვის შედგენილი იქნება ახალი კაბინეტი, რომელშიაც შევლენ მთავრობის ძვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება

ქართულ მსროლელ დივიზიის ყველა ნაწილების სამკომებისადმი·

ქ. თბილისი. 29 ოქტომბერი 1923 წ.

§. 1

გაცემული ქართულ დივიზიის პოლიტ-განყოფილების სააღრიცხვო საგანმანაწილებლო ქვე-განყოფილების მიერ მოწმობები, როგორც უვარგისი და ძველი ფორმა ითვლება გაუქმებულად. ამისათვის პოლიტ-განყოფილება წინადადებას გაძლევთ დაბრუნებულ იქმნას ყველა პირადობის მოწმობები ა. წ. 1-ლ ნოემბრამდის ახალი მოწმობების მიღებისათვის სააღრიცხვო საგანმანაწილებლო ქვე-განყოფილებაში.

არა დაბრუნებული მოწმობები ჩაითვლება უვარგისად და კარგავს ყოველივე ძალას ა. წ. 1-ლ ნოემბრიდან.

პოლიტ-განყოფილების უფროსი: **შუშანია**.

სააღრიცხვო საგანმანაწ. ნაწილის უფრ. **მხეიძე**.

ლი წევრებიდან მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები — ლიბმანი და ნეი და ახალი მემარჯვენე სოც.-დემ. — ლეგინსკი. ცეიგნერი ახალ სიაში გამოტოვებულია.

სოციალ-დემოკრატებმა გადასწყვიტეს უყურადღებოდ დასტოვონ, ცეიგნერის მიერ უარის განცხადება იმის შესახებ, რომ იცნოს მთავრობის გადადგომა. ლანდტაგის შენობას ჯარის ნაცვლათ იცავს პოლიცია, მაგრამ კომფრაქციის ბინას წინანდებურად იცავს ჯარი. სამინისტროების შენობების დაჭერის დროს კომუნისტმა მინისტრებმა უარი განაცხადეს თავის ნებით დაეტოვებინათ ბინები. ბეტხერი გაიყვანეს ძალდატანებით. სამინისტროების შენობა დაიკავა ჯარმა.

დაუთმეს მხოლოდ ძალადობის გამო.

ყოფილმა საქსონიის მთავრობამ განუცხადა რესპუბლიკის პრეზიდენტს, იმპერიის მთავრობას და რეიხსტაგს პროტესტი ძალადობით მათი შეცვლის გამო. პროტესტში ნათქვამია, რომ მთავრობა იძულებული იყო დაეთმო მხოლოდ იმიტომ, რომ მათ წინააღმდეგ მიმართულ იქნა სამხედრო ძალები.

შტრეზემანი დანაშაულობას აბრალებს გესლერს.

შტრეზემანმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საქსონიის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღების ინიციატივა ეკუთვნის გესლერს. სოციალ-დემოკრატი მინისტრები არა თუ მომხრენი იყვნენ საქსონიის კომუნისტ-მინისტრების ჩამოყენების, არამედ წინადადებაც კი შეიტანეს მათი დატუსაღების შესახებ. მთავრობამ ეს წინადადება ტაქტიკური მოსაზრებით უარყო.

შტრეზემანმა გამოსთქვა იმედი, რომ ერთ კვირაში მოწესრიგდება საქმე ბავარიაში და განაცხადა ამასთანვე, რომ ეხლა შეუძლებელია ლაპარაკი საალყო წესების მოხსნის შესახებ.

ივანე უთითებს პეტრეზე.

ორშაბათს კაბინეტის ღამის სხდომაზე სოციალ-დემოკრატებმა გაილაშქრეს საქსონიაში გენცსა და მიულერის მოქმედების წინააღმდეგ. „ფორვერტსის“ სიტყვით ეს მდგომარეობა გამოიწვია კონფლიქტმა შტრეზემანსა და ებერტის შორის, რომელმაც ხელი მოაწერა ბრძანებას საქსონიაში კომისარის დანიშვნის შესახებ, იმ პირობით, რომ ეს საკითხი წინდაწინ, სანამ ცხოვრებაში გატარდებოდა უნდა ყოფილიყო განხილული კაბინეტში და ფრაქციების ლიდერების მიერ. მაგრამ შტრეზემანმა ეს პირობა არ შეასრულა.

გერმანიის პრესა საქსონიის ამბების შესახებ.

„ფორვერსტი“ ილაშქრებს გერმანიის მთავრობის საქსონიის წინააღმდეგ გამოსვლების გამო და ბრალსა სდებს შტრეზემანს მიცემულ პირობების დარღვევაში.

შტრეზემანის გაზეთი „ტეიტ“ სცდილობს თავს მოახვიოს პასუხისმგებლობა, საქსონიის მთავრობის ძალით გარეკისათვის იმპერიის კომისარს გეინცეს და ამტკიცებს, რომ ის დამოუკიდებლად მოქმედებდა საქსონიის მთავრობის გარეკის დროს.

ტიურინგიაში.

ფაშისტების მანევრები.

ფაშისტების არალეგალურ ორგანიზაციების ტიურინგიის საზღვართან მოგროვება გრძელდება. კობურგში თავმოყრილია ერხარდის ბრიგადა არტილერიით და ტყვიამფრქვეველებით. მებრძოლი ფაშისტური ორგანიზაციები „იმპერიის დროშა“ დაბანაკებულა კრონახში. ფაშისტების მანევრების გამო სამხრეთ ტიურინგიაში დიდი მღელვარებაა.

გამბურგის აჯანყების გამო.

გამბურგის აჯანყების გამო პასუხისგებაშია მიცემული 100 კაცზე მეტი შესაძლებელია გამოტანილ იქნას სიკვდილით დასჯის განაჩენები ცნობები გამბურგის კომუნისტების ტოლმანის და რუბენის დატუსაღების შესახებ არ მტკიცდება.

გააფთრებული კამპანია.

გერმანიის მემარჯვენე პრესა აწარმოებს გაცხარებულ ბრძოლას ტიურინგიის მუშურ მთავრობის წინააღმდეგ და მოითხოვს დაუყონებლივ განდევნილ იქნას იქიდან კომუნისტები.



ბულგ. კომპარტიის ბელადი ამხ. **დიმიტროვი**

რეინში.

„საითაც გავიქეცი იქით წავიქეცი“.

საიმპერიო მთავრობამ რეინში გაუგზავნა გერმანიის მოხელეებს მიწერილობა, რომ არ დაემორჩილონ რეინის მთავრობის ბრძანებებს. რეინის მთავრობამ თავის მხრით გააფრთხილა მოხელეები, რომ საბოტაჟის შემთხვევაში დამნაშავენი გაძევებულ იქნებიან რეინის ოლქიდან.

დიდ ქურაში!

ცეცხლი დაენთო იქ დიდ ქურაში!..
და მის სიმძიმეს —
დიდი ოქტომბრის ცეცხლის დროშა გადაეფარა...
ომი დაიწყო. . . . . . .
აჯანყებამ გადასჭიმა ბარიკადები,
აქარიშხალდა! . . . . .
ზღვათ აზვირთდა, და თავ განწირვით —
სამოქალაქო ომის ცეცხლი დაანთო ველზე.
მეხები სკდება...
ტირანი კრთის... ცახცახებს...
და სიძლიერე მისი კვლავად გამოჩნდა უკანასკნელათ.
მაგრამ ამდგარ ბრბოს, მონებს...
გადამწყვეტ წუთში გაუძლებს განა!!!
ის დაეცემა სისხლიან ველზე გულ გაპობილი,
როს მაშვრალთ ბედი —
უკანასკნელ ზარს ჩამოჰკრავს გამარჯვებისას,
და ამ მძლე ტალღებს,
მთელ მსოფლიოს გადაუვლოცავს!
ომი დაიწყო.
აჯანყებამ გადასჭიმა ბარიკადები,
აქარიშხალდა,
ზღვათ აზვირთდა, და თავ განწირვით, —
სამოქალაქო ომის ცეცხლი დაანთო ველზე.

გოგიტო ციმბირელი.

შავი ძალები.

ბლოკი ჯანდარმერიისა და ფაშიზმისა კომუნისტების წინააღმდეგ.

ბავარიის ჯანდარმერიის ნაწილებმა, რომელნიც იმყოფებიან ბავარიის, საქსონიის და ტიურინგიის საზღვრებზე მიიღო კარისაგან საიდუმლო ინსტრუქცია, რათა მიღებულ იქნას სიფრთხილის ზომები, გამოარკვიონ სოციალ-დემოკრატიულ და კომუნისტურ ორგანიზაციების რიცხვი საქსონიაში, ტიურინგიაში და ბავარიაში. კარი წინადადებას აძლევს ჯანდარმერიას მჭიდროთ ითანამშრომლონ ბავარიის ფაშისტებთან.

ამხანაგებო, სამხედრო კომისრებო, უფშემადგენლობავ, სამხორებო, წითელ არმიელებო! დაეხმარეთ თქვენს გაზეთს ,,წითელ-არმიელს‘‘, გამოიწერეთ ის, მოაწყვეთ კოლექტიური ხელისმოწერა. გამოიჩინეთ მეტი ინიციატივა და ფართედ გაავრცელეთ თქვენი გაზეთი. ,,წითელ-არმიელის‘‘ არსებობა თქვენზედ არის სავსებით დამოკიდებული. ყველამ როგორც ერთმა ,,წითელ-არმიელის‘‘ დასახმარებლად!

სპარსეთის ახალი მთავრობა.

22 ოქტომბერს სპარსეთის კაბინეტი მუშირ-ედდოვლეს მეთაურობით გადადგა და ახალი კაბინეტის შედგენა დაევალა რიზა-ხანს.

ჩვენ წინა წერილებში სპარსეთის მდგომარეობის შესახებ ვწერდით, თუ როგორ პოლიტიკას აწარმოებენ ინგლისელები სპარსეთში.

ინგლისის იმპერიალიზმი დაუძინებელი მტერია სპარსეთის ხალხის. ის ყოველგვარ ზომებს მიმართავს რათა გაბატონდეს სპარსეთში და ამით უზრუნველყოს სპარსეთის სიმდიდრის მოხმარა საკუთარ ჯიბის გასასქელებლად.

სპარსეთის დამონების საქმეში წინათ ინგლისს ჰყავდა მეფის რუსეთი მეტოქედ.

მაგრამ რუსეთის რევოლიუციის შემდეგ, როდესაც სპარსეთიდან გაყვანილი იქმნა რუსეთის ჯარი, თითქმის სპარსეთის სრული ბატონ-პატრონი შეიქმნა ინგლისი, ინგლისის იმპერიალიზმმა აამუშავა თავისი იარაღი სპარსეთში და უკმაყოფილო ხალხს ტყვიით უსწორდებოდა.

მდგომარეობა მით უფრო ირყეოდა სპარსეთში. სპარსეთის ხალხის გამოფხიზლებას დიდათ შეუწყო ხელი რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციამ. სპარსეთის რევოლიუციონერებს იმედი მიეცათ რუსეთის რევოლიუციით.

უკანასკნელმა გაანთავისუფლა ისინი არა მარტო რუსეთის ჩაგვრა მონობისაგან, არამედ ხელს უწყობს და დაეხმარება კიდეც სპარსეთის ხალხს მოძალადე ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1919 წლის ხელშეკრულების ძალით სპარსეთი გადაიქცა ინგლისის სათარეშო ქვეყნად. სპარსეთის მაშინდელმა ანგლოფილურმა მთავრობამ, რომელიც მოსყიდული იყო ინგლისის ოქროებით, მიყიდა სპარსეთის ხალხი და სიმდიდრე ინგლისს. ამით ინგლისს ხელები გაეხსნა სამოქმედოთ ვინაიდან მომავალში ის იმოქმედებდა დადებულ ხელშეკრულების ძალით. მაგრამ მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა ინგლისის საქმე მაინც არ გამოკეთდა. სპარსეთის ხალხი აღშფოთებული იყო ინგლისელ ჩინოვნიკების თარეშით და მრავალ-ჯერ ამართა მათ წინააღმდეგ აჯანყების დროშა.

ინგლისმა კარგათ შეიგნო, რომ იარაღით არ შეიძლებოდა ხალხის დამორჩილება და მან სხვა ხერხს მიმართა. მოიყიდა სპარსელი მემამულეები და ამათი დახმარებით შეეცადა თავის მდგომარეობის გამტკიცებას. სპარსეთის გლეხობაში კიდევ აქვს გასავალი მემამულე ხანებს და ინგლისმაც ამით ისარგებლა. ანგლოფილური, სპარსეთის ხალხის მოღალატე, ინგლისის გირვანქებით დაბრმავებული მთავრობა მოექცა სათავეში სპარსეთს. ეს მთავრობა ხან მოკლე გამოდგა და ის დაეცა. სამი ოთხი წლის განმავლობაში სპარსეთში მეტად ხშირია კაბინეტის ცვლილებები. ხან ანგლოფილები მოექცევიან სათავეში სპარსეთის მთავრობას, ხან კიდევ ნაციონალისტები, ინგლისის იმპერიალიზმის მოსისხლე მტრები. ინგლისი კი განაგრძობდა ინტრიგებს და მილიონებს ხარჯავდა შერყეულ მდგომარეობის გასამტკიცებლად.

კაბინეტის უკანასკნელი ცვლილება გამოწვეულია ანგლოფილების შეთქმულების აღმოჩენის გამო. სპარსეთის ხალხის ცნობილი ჯალათი კავამე-ეს-სალტანე ცდილობდა ჩაეგდო ხელში სახელმწიფო მართვა-გამგეობა ინგლისის ხიშტების შემწეობით. ეხლა გადამდგარი მუშირ-ედ-დოვლეს კაბინეტი შედგა ა. წ. ივნისში, ნაციონალისტების კაბინეტის მუსტოფის მეთაურობით დაცემის შემდეგ. მუსტოფის კაბინეტი დაეცა ფეოდალების ინტრიგის წყალობით მაგრამ მათ მაინც ვერ შესძლეს ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. სახელმწიფოს მოექცა სათავეში უიმედო, მეტად უსუსური პოლიტიკური მოღვაწის მუშირ-ედ-დოვლეს კაბინეტი. ამ კაბინეტის დაცემას ყოველ-დღე მოელოდენ, რადგანაც ის არ იყო არც ფეოდალური და არც ნაციონალისტური მთავრობა. სპარსეთში კი მაშინ იყვნენ ორი მეტოქე სახელმწიფო ძალაუფლების სადავეს ასაღებათ, ფეოდალები და რიზა ხანი, რომელიც სამხედრო პარტიის მეთაურია. როდესაც ფეოდალები ფლანგავდენ ოქროებს საზოგადოებრივ აზრის მისამხრობათ ენერგიული და გონიერი რიზა-ხანი ფაქტიურად იგდებდა ძალა-უფლებას ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობაზე რიზა-ხანმა თავისი ხალხი წარგზავნა. როდესაც რიზა-ხანის სურვილები გაიგეს ფეოდალებმა უკანასკნელნი შეეცადენ გადატრიალების მოხდენას, მაგრამ რიზა ხანმა შესძლო მათი ჩაჩუმება. ამის შემდეგ მუშირ-ედ-დოვლეს ის და დარჩა მხოლოდ, რომ გადამდგარიყო.

შედგა ახალი კოალიციონური კაბინეტი რიზა-ხანის მეთაურობით რომელშიაც შედიან ნაციონალისტების, რადიკალების და სოციალისტების წარმომადგენლები.

როგორი დამოკიდებულებაში იქნება რიზა-ხანის ახალი მთავრობა ს. ს. რ. კავშირთან? ხომ არ ემუქრება რიზა-ხანი ჩვენს სავაჭრო და სამშვიდობო ურთიერთობას სპარსეთთან?

რიზა-ხანი არ არის ნაციონალისტი, რომლებიც მომხრე არიან საბჭოთა კავშირთან მტკიცე მეგობრული ურთიერთობის დამყარების. მაგრამ მისი კაბინეტის შემადგენლობა და აგრეთვე თვით რიზა-ხანის შეუდგარი ბრძოლა ანგლოფილ ფეოდალების წინააღმდეგ ამტკიცებს, რომ ახალი მთავრობა გააგრძელებს საბჭოთა რესპუბლიკებთან მშვიდობიან დამოკიდებულებას.

ამას აიძულებს ახალ მთავრობას სპარსეთის მდგომარეობა, ვინაიდან სპარსეთის ხალხი დარწმუნებულია, რომ ერთად ერთი ძალა, რომელიც იხსნის სპარსეთის ხალხს ინგლისის იმპერიალიზმის მონობისაგან ეს არის საბჭოთა უძლეველი კავშირი.

ს. პ

ჩვენს წითელ ჯარში

საარტილერიო პარკის მდგომარეობა.

საარტილერიო პარკის მდგომარეობა სრულიად შეიცვალა, მას შემდეგ რაც ეს ნაწილი გადავიდა ძველი ბინიდან ავლაბრის ბოლოში, ძველ ბინაზე ჩვენ გაჩაღებული გვქონდა სხვა და სხვა კულტურული წრეები. იყო სამკითხველო სადაც სისტემატიურად მოდიოდა გაზეთები, ჰქონდა საკუთარი ოთახი სამკითხველოსათვის. გამოდიოდა კედლის გაზეთი და სხვა. დღეს კი ეს მუშაობა მეტის მეტად შენელდა, ვინაიდან ახალ ბინაზე ტეხნიკურად ძლიერ მოუწყობელნი ვართ. არა გვაქვს ოთახები სამკითხველოსათვის, ღამით ყაზარმაში არის სიბნელე და სხვა.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება.

სამხკორი **ჩხიკვიშვილი.**

მეტი შრომა.

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონში არის სამი კომუჯრედი. კომუჯრედში მუშაობა მიდის კარგათ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მომზადებული პარტ ამხანაგები ზოგიერთ უჯრედს ნაკლები ყავს, მაშინ როდესაც საერთოდ ლეგიონში ბევრნი არიან ისეთები, რომელთაც კარგათ შეუძლიათ ხელმძღვანელობა, მაგრამ საუბედუროთ გვერდს უხვევენ პარტიულ მუშაობას, იმ მიზეზით რომ თითქოს ისინი დატვირთულნი არიან სამწყობრო მეცადინეობით.

ამხანაგებო საჭიროა მეტი შრომის მოყვარეობა, თქვენ ვალდებული ხართ თქვენი ცოდნა გაუზიაროთ სხვებს.

არმიელ „ალე".

მოხსენება.

12 ოქტომბერს შესდგა მე-3 მე ლეგიონის პარტ ამხანაგების საერთო კრება, კრებას ხსნის ამხ. ჯანგველაძე. რომელზედაც საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენის შესახებ მოხსენება გააკეთა ქუთაისის სამაზრო პარტკომის წარმომადგენელმა ამხ. შალიკო ცაგარელიშვილმა. მომხსენებელმა შინაარსიანათ დაახასიათა სამეურნეო გამოფენის მნიშვნელობა და აღნიშნა თუ როგორ განიცდიდა რუსეთი ნგრევის პროცესს იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის დროს. შემდეგ საბოლოო სიტყვაში სთქვა:—„თუ რუსეთი 1920 წლამდე განიცდიდა ეკონომიურ ნგრევას, დღეს ის უკვე განიცდის ეკონომიურ აღორძინებას, რაც დაგვიმტკიცა ჩვენ მოსკოვის სასოფლო სამეურნეო გამოფენამ. მოხსენება მოსმენილ იქნა დიდის ინტერესით და მსმენელები კმაყოფილნი დარჩნენ.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კრება მიესალმება საბჭოთა აღმშენებლობას.

სამხკორი: **შრომისშვილი.**

საჭიროა აილაგმოს.

ქართულ მეთაურთა სკოლის უცხობს პურს მეფურნე გოგაშვილი, რომელსაც პირობის თანახმად სკოლის უმწყობრო ასეულიდგან ეხმარება ოთხი წითელ არმიელი, სკოლისთვის პურის ცხობის დროს.

მაგრამ მოქ. გოგაშვილი წ. არმიელებს ამუშავებს რამდენიც მას მოეპრიანება, წითელ-არმიელებისათვის მუშაობის ნორმა არ არსებობს. გოგაშვილი მათ ეუბნება: „თვალებს დაგთხრი დღე და ღამ გამუშავებო". საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას, საჭიროა აილაგმოს ექსპლოატატორი.

ბ—ძე.

ოქტომბრის დღესასწაულისათვის.

24 ოქტომბერს შესდგა ცალკე საკავშირო ასეულის ოქტომბრის რევოლიუციის ჱ წლის თავის მომწყობი კომისიის სხდომა. კომისიას დაესწრნენ ყველა წევრები.

გამორკვეულ იქნა მუშაობის გეგმა და წევრებს შორის განაწილდა ფუნქციები. კომისია უკვე შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას.

რსელ-ი.ვ

1-ლ ლეგიონში.

23 ღვინობისთვე.

შემოდგომის მთვარიანი საღამო.

პირველ ლეგიონის ყაზარმა.

პირველ ლეგიონის შესავალთან, როგორც ყოველ დღე, ოთხი ცხენი აბია კედზე მიბმულ პატარა ფიცრის ნაჭრებით, რომელთაც აწერია ერთზე—„დაშნაკი" მეორეზე—„მენშევიკი" მესამეზე—„მუსავატი" და მეოთხეზე—„კადეტი".

წითელ-არმიელები უყურებენ და იცინიან.

—ამ „მენშევიკს" რომ შევაჯდები, იმდენს ვათოხარიკავებ, რომ სულ სიქა გავაცალო!—ამბობს ხუმრობით ზემდეგი შალიკო.

— ამ „დაშნაკს" ხომ ნახე გუშინ რა დღე დავაყარე! თავიანთ პარტიის „მაუზერისტობა" ცხვირში ამოვადინე. სიცილით უპასუხებს გიგა.

— არიქათ ამხანაგებო! მორბიან, მორბიან, ჩვენი „კერზონი" და „შტრეზემანი"!—ყვირის წითელი მეთაური კოტე. ყველამ იქით მიიხედეს, საითაც ხელი გაიშვირა.

— უუუ! უუუ!—დაჰკივლეს, მაგრამ შეჩვეული ძაღლები მიუახლოვდენ და დაიწყეს კუდის ქიცინი.

ჩვენი ყაზარმის მუდმივი სტუმრები, ორი ძაღლი, ამ სახელებით არიან მონათლულნი.

— სირცხვილია, ამხანაგებო. ნუ თუ დაგვავიწყდათ ჩვენი სტუმართ-მოყვარეობა?—შენიშნავს ირონიულად ტყვიამფრქვევ გუნდის მწყობრის თავი, საშა—იქ რევოლიუცია ხდება და მუშების რისხვას ემალებიან, შევიბრალოთ!..

ატყდა გულიანი ხარხარი.

— ჰწუ! ჰწუ!..—დაუყვავა ერთმა მოლაშქრემ და მოუტეხა პური თავის ულუფიდან...

დიდხანს ისმოდა სიცილი.

დეზებიანი მამალი.

სამხედრო ვარჯიშობა-

17 ოქტომბერს ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილები იყვნენ პრაქტიკულ ვარჯიშობაზე სოფ. დიღომის მიდამოებში. ვარჯიშობა სწარმოებდა ორ მოწინააღმდეგეთა ავანგარდის რაზმებს შორის. მოვარჯიშე წ. არმიელებს ემჩნეოდათ ხალისი და სერიოზული მოპყრობა სამხედრო ხელოვნების შესწავლისადმი. ვარჯიშობა საუცხოვოდ ჩატარდა და მოვარჯიშენი კმაყოფილი დარჩენ.

სვირელი.

გუშაგი.

ღამეა ბნელი,—ქარი ჰქრის,—
ვდგევარ საგუშაგოზედა;
და ვიცავ მედგრად, დარაჯი,—
მტერს არ დაუშვებ მაზედა!..

—

შეხედულებით მღიმარეს
მესმის მე ჩემი ვალები;
წყვდიად ღამეში, მშრომელებს
იცავენ ჩემი თვალები!..

—

კარგა ხანია მივიღე
წოდება წითელ გმირისა;
ყველა იმედი სრულდება,
მადლ ერი ვარ ბედისა!..

კურსანტი ავაქოვი.

წითელო გმირებო!

ქუჩებში ტყვია ალაპარაკდა,
ისმის კაკანი ტყვიამფრქვეველის,
განწირულია ბურჟუაზია—
თვის გამარჯვებას ნუღარ მოელის.

⁂

ორ ბანაკ შორის სწარმოებს ბრძოლა,
ორთავ მხარეზე სისხლი იღვრება;
ჯერ არვინ იცის თუ გამარჯვების
სასწორი საით გადაიხრება.

⁂

ეს კი ცხადია; მუქთა ხორები
უნდა ჩაბარდენ ძველს ისტორიას;
და გაშმაგებულ გველეშაპს მსუნაგს
მიართმევს მკერდში ლახვარს და ტყვიას.

⁂

წითელ გმირებო ქართული ჯარის
მუდამ მზად გვქონდეს საომრად თოფი,
რომ დავეხმაროთ გერმანელ მუშებს,
თუ განსაცდელში ვიხილეთ მყოფი.

კ. საჭილაველი.

წიგნის წარმოშობის ისტორია და მისი განვითარება.

3

დრო მიდიოდა. ადამიანს გამოცდილება ემატებოდა. სიტყვის მოთხოვნილება იზრდებოდა. ცხადია ყველაზე მეტი მცოდნე ოჯახის წევრთა შორის უხუცესი იქნებოდა. მას ბევრი რამ ენახა ცხოვრებაში, ბევრი გამოეცადა და ამიტომაც მოხუცს ემორჩილებოდა მთელი ოჯახი. მოხუცის განკარგულება, გეგმები ამა თუ იმ საქმის შესრულების დროს გამარჯვებით თავდებოდა და ამიტომაც მისი სიტყვა—ეს ერთგვარი კანონი იყო ახალგაზრდებისათვის, შთამომავლობისათვის. მას მეტი მარაგი ჰქონდა სიტყვის, ის შედარებით სხვებზე მეტის მცოდნე იყო, მდიდარი „ლექსიკონი" ჰქონდა. მაგრამ სიტყვას მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ მაშინ, როცა რამოდენიმე ადამიანი ერთად მოქმედებდა. ხოლო როცა ისინი ერთმანეთს დაშორდებოდნენ, საჭირო ხდებოდა რაღაც სხვა, ახალი, რომ მათ გზა არ დაბნეოდათ, კავშირი არ დაეკარგათ და კვლავ ერთ ადგილზე შეყრილიყვნენ. აქ ადამიანი მიმართავდა ისეთ სიმბოლიურ ნიშნებს, რომელთა გამოცნობა, ან ასე ვსთქვათ, წაკითხვა მას გარდა სხვასაც შესძლებოდა და გაეგო მისი ამხანაგის აზრი და მოქმედება.

მაგალითად რომელიმე ჯგუფი ნადირობის დროს გაიყოფოდა და სხვა და სხვა გზით წავიდოდენ. აქ ისინი გზა და გზა აღნიშნავდენ თავიანთ მიმართულებას: აქა-იქ ხეებს კანს შემოაძრობდენ, ან ტოტებს დასტეხდენ და გზა და გზა აწყობდენ მათ წვეროებით იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც ისინი მიდიოდენ. როცა ასეთ ნიშნებს წააწყდებოდა რომელიმე სხვა ჯგუფი, იმისთვის აქ ცხადი ხდებოდა—თუ რა მხრით იმყოფებოდა მათგან პირველი ჯგუფი. ამ რიგად მათ შორის კავშირი უზრუნველყოფილი იყო.

გამოცდილებამ დაარწმუნა ადამიანები, რომ თუ ისინი შეკავშირებით იცხოვრებდენ, მათთვის ადვილი იქნებოდა ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვა; სწორედ ამ მოსაზრებით უკავშირდება ერთმანეთს რამოდენიმე ოჯახი და შეადგენენ გვარს, შემდეგ თემს, საზოგადოებას და სხვა. ფართოვდება თუ არა კავშირი, იზრდება სიტყვის მარაგი და მდიდრდება ენაც.

მაგრამ პირველ ყოფილ ადამიანს, გარდა ზეპირი სიტყვისა კიდევ მოეპოვებოდა სხვა რამ, რომლითაც შეიძლება ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის გამოსახვა. ეს იყო, თანამედროვე სიტყვით რომ ვსთქვათ, მხატვრობა. როცა ადამიანი დაიკმაყოფილებდა თავის ყოველდღიურ მოთხოვნილებას, ის არხეინად წამოწვებოდა მზეზე და მიეცემოდა ოცნებას. მაგრამ მისი ოცნების საგანი არ იყო მაინცა და მაინც დიდი თავსამტვრევი საკითხი. მას მოაგონდებოდა შემთხვევები თავის ცხოვრებიდან. მაგალითად მას მეხსიერებაში წარმოუდგა რომელიმე ნადირი, რომელსაც ის შეხვდა ტყეში ხეტიალის დროს. იღებს ხელში ჯოხს და იქვე მიწაზე ხატავს ამ ნადირის „ფიგურას". რათქმა უნდა ასეთ ნახატს პირველად უბრალო, გართობითი ხასიათი ჰქონდა. შემდეგ ველური ამას მიუმატებდა რაიმე სხვა სურათს, მაგალითად ადამიანს კეტით ან ქვის იარაღით ხელში და ნახატი იძლეოდა ნადირობის სურათს. შემდეგ, როცა ადამიანმა ხელსაწყო გაუმჯობესა, ასეთ სურათებს ის ამონაკვთავდა ხის კანზე, ქვაზე, რომელთა უგვიანესი ნაშთები დღესაც არიან შენახული. უეჭველია ასეთი მხატვრობა, გზაში ნიშნების დაგდება და სხვა წარმოადგენდა წიგნის პირველყოფილ ჩანასახს.

ი. ხ.

პატარა ფელეტონი

ბეწვის ხიდი.

გუშაგი.

გამრინებელმა იპოლიტე ცერაძემ საგუშაგოებზედ ყველა გუშაგი შესცვალა და ერთი საგუშაგო და დარჩა შესაცვლელი, სადაც ახლად-წვეული იაგორა ტატიაშვილი უნდა დაეყენებია. გრილი საღამო იდგა. ბნელოდა. ცვლის ერთდროული ქუსლების რაკა-რუკი სიჩუმეს არღვევდა.

— აბა, ტატიაშვილო! ვ ნახოთ კარგად აასრულო შენი მოვალეობა... არ დეიძინო, თუთუნი არ მოსწიო... თივაა, ცეცხლი ადვილად გაუჩნდება და დეიღუპები კაცალი კაცი! არავინ მოუშვა საგუშაგოსთან.. და ისთე მეიქეცი, რავაც შენ გასწავლეს. არიგებდა გამრინებელი იაგორას, როდესაც იგი შესცვალა და გუშაგათ თივის ზვინთან დააყენა.

— ჩვენ ვიცით ამხანაგო! ნუ შესწუხდები... ისე ვიყარაულო რო-რო.. შენი მოწონებული. დაიმედოვნა რიხიანათ იაგორამ.

— ნაბიჯით იარ! მისცა ძახილი იპოლიტემ დანარჩენ გუშაგებს და ცვლა მალე სიბნელეში მიიმალა.

იაგორა გარშემო უვლიდა თივის ზვინს, აფაციცებდა აქეთ-იქით თვალებს და ყველაფერს აკვირდებოდა. დრო საშინელის სიმძიმით გადიოდა. იაგორას ენერგია თანდათან უსუსტდებოდა და ყურადღება უჩლუნგდებოდა. ეს ოთხი კვირაა რაც სამხედრო სამსახურში მოხვდა იგი. ქართლის ყრუ სოფლიდან წამოიყვანეს, პირდაპირ გუთნიდან ჩამოსვეს და №-ის ლეგიონში გამოაგზავნეს სოფელში გუთნისა და ხარ-კამეჩის მეტი არა ენახა რა და ეხლა სულ ახალ ცხოვრებაში ჩაება. აქ მისთვის ყველაფერი უცნობი იყო, ყველაფერი ახალი და დღეს პირველ დანიშნეს გუშაგათ, როცა უფროსები დარწმუნდნენ, რომ მან საკმაოდ შეითვისა გუშაგის მოვალეობა. იაგორას მოეწყინა თივის გარშემო ტრიალი და მყუდრო ალაგს მიხედა. ვარჯიშობაში შეუჩვეველს იაგორას, ცოტა არ იყოს, მკლავის და ფეხების კუნთები სტკიოდა და თავისთავს ძიუმედური ასვენებდა ორგანიზმს... ფიქრებმა მალე გაიტაცეს და თავის სოფლის ყოფა-ცხოვრებაში გაება... ძილი ნელ-ნელა ეპარებოდა.

— ხი-შა-მო! იაგორ! აშინებდა თავის თავს იაგორა და თვალებს აჭყეტდა. მაგრამ ძილი თავისას შვრებოდა. იაგორა ასკილისავით თავს აქანდურებდა. დაბოლოს ძილმა მაინც დაიმორჩილა და გიორგმა ხვრინა ამოუშვა... კურდღლურ ძილში მას შრიალი შემოესმა... იგი წამოხტა და თვალები მოიფშვნიტა... მის გვერდით თივასთან რაღაცა მაჯლაჯუნა იდგა და შრიალებდა. იაგორას თმა ყალყზე აუდგა და ქუდი მაღლა აიწია.

— ფუფუ, ეშმაკია! ფუფუ ეშმაკია! წმინდა გიორგივ, შენაბადევ!.. იწყრიდა პირჯვარს იაგორა და ვინაიდან წმინდა გიორგი შენაბადად მისთვის არა სცხებოდა და ალბად ორთაჭალის ბაღებში ზურნით ქეიფობდა, იგი გონს მოვიდა და თოფი მოიმართო... იაგორას ძილის დროს თივის წამოსაღებლად მოხეტიალე... [illegible]. დაუნახა რა საქონელს სამხედრო თივის ზვინი, სულს წაუძღვა, მისდგომოდა თივის გასართო

ბათ და დიდის სიამოვნებით იონჯას მიირთმევდა.

— ამხანაგო ძროხავ! წადი აქედან თორემ მე გუშაგი ვარ და... ბევრი რამე შემიძლია! — აფრთხილებდა იაგორა ძროხას, რომელიც სიამოვნებით კუდს იქნევდა.

— გამოიფშვნიტე ყურები და გაიგე ჩემი ქართული... მე სამ შემთხვევა შემიძლია ვიხმარო ჩემი იარაღი... აი, ხედავ თოფსა?.. ისე კი ნუ გგონია!.. თუ შენ მე მერჩოლები, მაგაზედ შემიძლია გდრუზო თოფი... ეს ერთი... მეორე, შენ სახაზინო ქონებას, მე რომ მაბარია და აქ ხიფათი კი არა უარესი დღე ადგია... შენ მიჰდგომიხარ უსვინდისო ღორივით და ჰღმუძლავ ამ თივას, გეგონება ნინიას ბაღიაო..; და მესამე... ბიჭოო! და შენ მკვეთრი იარაღით ხარ შეიარაღებული ეი... რქებით... იცი, რა გითხრაა! მოდი და სისხლს ნუ დამაღვრევინებ და წადი აქედან... ბიჭოო... ამხანაგო ძროხა! ნუ დაიდებ ჩემ ცოდვას, მომშორდი... წადი აქედან... ეჰე! არ გესმის?.. წადი მეთქი თორემ... მაშ, რაც მოხდეს — მოხდეს! აჰაა! დაიჭი!!. შენ სამგლე! შენა! — მოიმართა ხიშტი იაგორამ და უფუკა გულში ძროხას... ძროხამ საზარელის ხმით დაიბღავლა და ძირს დაეცა...

— რა ქენი კაცოო? რაზედ მოკალი ძროხა? — ეკითხებოდა იაგორას განმრიგებელი იპოლიტე ცერაძე, როდესაც განრიგებაზედ გუშაგი მოიყვანა.

— რაზედ?.. და... სახაზინო ქონებას ჰფლანგავდა... მკვეთრი იარაღით — რქებით... სამჯერ გავაფრთხილე ეგ სამგლე... გაჯიუტდა და მეც ჩემი მოვალეობა, ავასრულე. უპასუხა იაგორამ და ქეჩოს იქექდა.

უშველებელი ძროხა თავის ზვინთან გაშხლართული ეგდო.

გოჩმანი

ახალი ამბები

ექსპონატების დაბრუნება გამოფენიდან.

10 ოქტომბერს მოსკოვის გამოფენაზე მოწყობილი საქართველოს პავილიონი დაიხურა და შეუდგენ ექსპონატების (ნიმუშეს) დაბრუნებას.

უმუშევართა მოძრაობა.

31 ოქტომბერს შრომის ბირჟაზე გამოცხადდა — 480 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა — 82, სამუშაოზე გაიგზავნა — 50

აჭარის შემსწავლელი საზოგადოება.

ბათომში არსდება აჭარის სოციალურ-ეკონომიურად და ისტორიულად შემსწავლელი საზოგადოება.

ახალი წყალსადენი.

ჯანმრთელობის კომისარიატის თაოსნობით სოფ. წილკანში გაიხსნა წყალსადენი, რომელიც მცხოვრებთ უხვად აწვდის წყალს.

სამხედრო საქმე

ომი მომავალში და დაცვის ფაქტორები.

ნაპოლეონ ბონაპარტის დროიდან ისტორიას რომ გადავხედოთ, ჩვენ შევამჩნევთ, რომ ომში თანდათანობით უფრო ფართო და ფართო მასსები იბრძვიან. ასეთი მიდრეკილება უაღრესად ვითარდებოდა და დაბოლოს უკანასკნელ იმპერიალისტურ ომში ჩვენ ვიყავით მოწამენი როდესაც ომში მრავალ მილიონობით იყვნენ ჩაბმული სხვა და სხვა სახელმწიფოების ხალხი.

ამან წარმოშვა მოსახლეობისათვის მეტად მძიმე პირობები, ვინაიდან ომი თავის სიმძიმით დააწვა მას. ამას გარდა ამავე დროს უნდა აღინიშნოს ის შეუპოვრობა, რომლითაც განირჩევა თანამედროვე ომი. ომში საკმარისი არა ყოფილა არმიის ძალის წინაამდეგობის მოტეხა, აქ საჭირო ყოფილა მოწინააღმდეგის მთელი ქვეყნის ძალისა და ნებისყოფის მოტეხა. გავიხსენიოთ თუნდაც გერმანია. ანტანტამ მოსტეხა სამხედრო ძალა გერმანიისა, მხოლოდ ნამეტნავად საფრანგეთი არ კმაყოფილდება ამით და ცდილობს მთელი ხალხის ნებისყოფის შემუსვრას, მის ეკონომიურად დაკნინებას და დიდიხნით დაუძლურებას. აქ უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო ტეხნიკის თანამედროვე განვითარებას დაუსახავს მიზნათ არა თუ მოწინააღმდეგის ძალების შემუსვრა, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიური სიძლიერისაც.

ამ დარგში უმთავრესათ მიაქციეს ყურადღება წყალქვეშა და საჰაერო ფლოტის განვითარებას. ახლო მომავალში უექველია უფრო დიდი მნიშვნელობა საჰაერო ფლოტს ექნება, ვინაიდან მას შეეძლება საომარი ასპარეზი გააფართოვოს განუსაზღვრელად. მომავალ ომში შესაძლებელია რომ სახელმწიფოს (თუნდა ბუმბერაზისაც) მთელი ტერიტორია გარდაიქცეს საომარ მოქმედებათა არეთ. საჰაერო ფლოტი შეეცდება დაანგრიოს არამც თუ რკინის გზების შენობანი, ზურგის საწყობები და სხვა წერტილები, რომელიც ჯარს ემსახურებიან, არამედ შეეცდება სახელმწიფოს მთელი მრეწველობის ცხოვრების შემუსვრასაც. სახელმწიფოს, რომელსაც ეყოლება მრავალ რიცხოვანი ფლოტი, იგი არ დაკმაყოფილდება, მხოლოდ კანტი კუნტით ყუმბარების დაშენას, როგორც ამას გერმანელები აწარმოებდენ ინგლისში, არამედ მოსალოდნელია რომ მრავალრიცხოვანი დესანტს ზურგში გადმოსხმას. ამასთან მტერს მუდამ გათვალისწინებული ექნება ის პუნქტები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ექნებათ მებრძოლ ჯარისათვის, ამ გვარია; სამხედრო ქარხნები, რკინის გზის დიდი კვანძები, საომარ სურსათის საწყობები და სხვა. და ყველა ეს მოიზიდავს — მტრის ყურადღებას, რისთვისაც საჭიროა ყველა ეს მნიშვნელოვანი დაწესებულებანი ყოველ მხრივ უზრუნველ ყოფილ იყვნენ: როგორც შეიარაღებული ძალებით, ისე ყველა ტეხნიური საშუალებებით.

დიდ სახელმწიფოში ამ გვარი ადგილები მრავლად იქნება და მათი დაცვა შეიარაღებული ძალით აუცილებელი იქნება. ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ თანამედროვე ომი მოითხოვს პირველ ხარისხოვან ჯარს არამც თუ წინ სახელმწიფოს საზღვრებზე, არამედ ზურგშიც, რისთვისაც საჭიროა მრავალ რიცხოვანი ჯარი.

სახელმწიფო დიდი ჯარის შენახვას ვერ გაუძლებს, ამიტომ მთელი ხალხი უნდა იყვეს გაწვრთნილი სამხედრო საქმეში და საჭირო დროს გამოვიდეს მტრის შესამუსრავად ადგილობრივ.

გ. ბ.

მეცნიერების დამამშვენებელნი.

რობერტ ვილჰელმ ბუნზენი.

ბუნზენი, რობერტ კირხგოფის ერთი საუკეთესო მეგობარი და გამოჩენილი თანამშრომელი იყო სპექტრალური ანალიზის გამოგონებაში. ამ ორმა გენიოსმა მთელი თავისი სიცოცხლე გაერთიანებული შრომით, იშვიათურის თავდადებით და თავის მოვალეობის უდიდესი შეგნებით მეცნიერების კეთილ დღეობის და კაცობრიობის ცოდნის ჰორიზონტების გაშლას მოახმარეს. ბუნზენის ექსპერიმენტალური (ცდაკვირვებითი) ტალანტის შეერთება, კირხგოფის თეორეტიულ გენიალობასთან მეტად ნაყოფიერი და სასარგებლო შეიქნა. იმ მეცნიერული მუშაობის დროს, როდესაც საჭირო იყო ცდების მოხდენა ბუნზენის შემძლეობა ჩვეულებრივ საზღვრებს სდებოდა, ხოლო თეორეტიულ გაქანებასა და ჰორიზონტების გაშლაში კირხგოფი პირდაპირ სასწაულებს ახდენდა.

კირხგოფის ეს შესანიშნავი შრომის მოზიარე ეროვნებით გერმანელი დაიბადა ქალაქ გოტინგენში 1811 წ. 13 მარტს. 17 წლის იყო ბუნზენი როდესაც უნივერსიტეტში შევიდა, ხოლო ხუთი წლის შემდეგ ის უკვე დისერტაციის იცავდა ქიმიის მაგისტრობაზე. 1836 წ. მიიღო ქიმიის კათედრა კასელის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში. შემდეგ მას წვევენ ბრესლავლის უნივერსიტეტში, სადაც ის ეცნობა კირხგოფს და აქედან დაწყებული ისინი 37 წლის განმავლობაში ერთად ეწევიან სამეცნიერო მუშაობას.

ამ დროს ის იყო ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში ქიმიის პროფესორად. აქ კირხგოფთან ერთად გამოიგონა მან ნივთიერების სპექტრალური ანალიზი და გამოიყენა ეს უძლიერესი იარაღი დედა მიწაზე არსებულ ახალი ელემენტების აღმოჩენისათვის, იმ დროს, როდესაც კირხგოფმა მთელი თავისი ყურადღება მიაქცია მზის სხივების სპექტრალურ განხილვას, ბუნზენი ენერგიულად შეუდგა დედამიწაზე არსებულ სხეულების სპექტრის გამოკვლევას. მან დიდათ საყურადღებო გამოკვლევები მოახდინა ფიზიკისა და ქიმიის დარგებში. ვინ არ იცის ყველასთვის ხელმისაწვდომი მის მიერ გამოგონებული აუარება ხელსაწყოები — აპარატები. ბუნზენმა თავისი შესანიშნავი მეგობრის — კირხგოფის შემდეგ იცოცხლა კიდევ თორმეტი წელიწადი — ის გარდაიცვალა 1899. წ. 1911 წ. შესრულდა ასი წელიწადი მისი დაბადებიდან; ქ. ჰეიდელსბერგმა არ დაივიწყა თავისი საყვარელი მეცნიერის ღვაწლი და ეს იუბილეი ბუნზენის საპატივსაცემლოდ აღნიშნა მისი დიდებულ ძეგლის გახსნით.

ს — ძე.

სამხედრო მწერლებს საყურადღებოდ

გაზ. „წითელ არმიელი"-ს ფურცლებზე ამ ბოლო ხანს მეტად ხშირია წმინდა სამხედრო ხასიათის წერილები. ზოგს აუღია რომელიმე წიგნი, მიჰყოლია მის თარგმნას და ათავსებს წერილს წერილზე, ფელეტონს-ფელეტონზე. გადის თვეები და ამ წერილებს არ უჩანს ბოლო. მეორეებს სამხედრო მეცნიერების ერთ რომელიმე დარგისათვის წაუვლია ხელი და თავის სიტყვით ან ამოწერილებით გადმოგვცემს დაახლოვებით შინაარსს ამ დარგისას.

ზოგადათ რომ შევეხოთ ამ გვარ ნაწერებს, მისი ავტორები დიდი მადლობის ღირსნი არიან, რადგანაც იშვიათმა შეეხენ სამხედრო საქმეს ქართულ პრესაში. მაგრამ როდესაც ამ ნაწერების საქმედ ქცევას შევხედავთ, მაშინ, საუბედუროდ, ვრწმუნდებით, რომ არამც თუ ტყუილი ყოფილა ქაღალდის და მელნის ხარჯვა, არამედ დიდი მავნებელი ყოფილა ასეთი სხვათაშორისი მოღვაწეობა. მავნებლობა ეს შეეხება ისეთ საქმეს, სადაც სისხლის ენით ლაპარაკობენ და ყოველივე უმნიშვნელო შეცდომაც კი სიცოცხლით სავსე ვაჟკაცებს უდროვოდ გამოსალმებას წუთისოფელს. ყოველივე ამის დასაბუთებას ვიხილავთ ქვემოდ მოყვანილ გარჩევიდან. „ზოგჯერ თქმა სჯობს არ თქმასა, ზოგჯერ თქმაც დაშავდებისო". ამ შემთხვევაში უთქმელობამ შეუფერებელი სითამამე გამოიწვია. მხოლოდ მავნებლობის შიშმა ამაღებინა კალამი ხელში.

მართალია ქართველებს არასდროს არა გვქონია ბრწყინვალედ დაყენებული სამხედრო ყოველდღიური და პერიოდული პრესსა და ამიტომ შეიძლება ნიმუშები ვერ ვიპოვნოთ ჩვენს ლიტერატურაში სამხედრო მართლ წერისა. მაგრამ თვალწინ და ყოველ დღე ხელთ გვაქვს რუსული სამისო გამოცემები და იქ ვერავინ მიმითითებს თვეობრივ მიმდინარე წერილებზე გაგრძელებით და მასთან შინაარსით რომელიმე სახელმძღვანელოს, წესდების ან რომელიმე კაპიტალურ ნაწარმოების ცუდათ გადათქმაზე თავის სიტყვით. პირიქით ამ გამოცემებში, პერიოდულებშიც კი თქვენ ნახავთ, თითქმის ყოველ გვერდზე რედაკციის გაფრთხილებას: **„წერილები უნდა იყოს მოკლე, სხარტი: შინაარსად უნდა აღებული ჰქონდეს ერთი რომელიმე კონკრეტიული აზრი და ეს აზრი ყოველ ცალკე წერილში სავსებით და ყოველმხრივ ამოწურული უნდა იყოსო."**

ვამბობ დიდია მეთქი სამხედრო მწერლობის ასპარეზი სპეციალ გამოკვლევების და ნაშრომების გარეშედაც. და სპეციალ მწერლის სახელის უქონლადაც. აიღეთ „შინა სამსახურის," „წყობილების წესდების", „საგარნიზონო", „სადისციპლინო" და სხვა უკვე ქართულად გამოცემულ წესდების ათასობით მუხლები და ათი ათასობით ტემას გამოვნახავთ ყოველდღიურ „წითელ არმიელისთვის". ასეთ წერაში აზრის დამუშავებაც იქნება, ენის შესწავლაც, ცოდნის შეძენაც, ტვინის ვარჯიშიც და მკითხველთა ყურადღების შეჩერებაც აღებულ მუხლის გაფართოებულ შინაარსის ირგვლივ. განა ეს უკეთესი არ იქნება, ვიდრე მიუწდომელ ღმერთების ბლაუკი? რომ ლიტონი სიტყვები არ არის ჩემი გაფრთხილება და მართალია ეს ჩემი დიაგნოზი და გულწრფელი სურვილი — გამრავლდნენ სამხედრო მწერალნი, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს თავისი საკპილო. ამას, გამოაჩენს ქვემორე მოყვანილი გარჩევა.

ხელთ მაქვს წერილები „ომი და ჯარის აღზრდა" ამ წერილებს მოსდომნია ჯერ ათამდე ფელეტონი და ალბათ ასე ივლის ჯერ კიდევ დიდ ხანს.

ეს წერილები ასე იწყობა: „ომი არის ორ ან რამოდენიმე შეიარაღებულ ძალების შეტაკება". უფრო სწორი იქნებოდა რომ ეს წინადადება ასე დაწერილიყო: „ომი არის ორ ან რამოდენიმე შეიარაღებულ **ძალის** შეტაკება". მეორეს მხრივ — ასეთი განმარტება ომის ცნებისა არ არის მეცნიერული და სწორი. მოწინააღმდეგეთა შეიარაღებულ ძალების „შეტაკება" ხშირია ომში, ომიანობის დროს, შეტაკებები, ბრძოლები, თავდასხმები, შეჭიდებები, შეჯახებები, მხოლოდ ეპიზოდებია ომიანობის, ომის, მაგრამ ამ სიტყვებით აღნიშნული ცნებები სრულიადაც ვერ ამოსწურავს ცნება — ომის მნიშვნელობას. „ორი ან რამოდენიმე შეიარაღებულ ძალების" შეტაკებას ჩვენ ყოველ დღე ვხედავთ, ვიგონებთ და ამისთანა მოვლენებზე ვკითხულობთ ყოველდღიურ პრესაში, მაგრამ არავინ ვიტყვით, რომ ეს ომიანობა, ომიაო.

ვიღებ მოკლე ენციკლოპედიურ ლექსიკონს ჩუდინოვისას და ვკითხულობ: „ომი სახელმწიფოთა, ხალხთა ან ერთ და იმავე სახელმწიფოში მტრულად განწყობილ პარტიებს შორის შეიარაღებული შეჭიდებაა სადავო უფლებათა და ინტერესთა აღსადგენად, შესანარჩუნებლად ან მოსაპოვებლად: ერთი სიტყვით ერთი მხრის იძულებულ ყოფად დაემორჩილოს მეორე მხრის ნებისყოფას".

ვიღებ ვრცელ ენციკლოპედიურ ლექსიკონს ბროკგაუზ და ეფრონისას და ვკითხულობ სიტყვა სიტყვით იმას, რაც ჩუდინოვს აქვს დამატება: „კერძო შეიარაღებული შეჭიდება ცალკე პიროვნებათა, ოჯახებს და ხალხთა შორის ცივილიზაციურ სახელმწიფოში თავიდგან აცილება კანონებით და სასამართლოს განაჩენებით (ეს არ იქნება ომი ლ. ც.) მაგრამ სახელმწიფოთა და ეროვნებათა შორის ომის, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკის გამხილება ფიზიკურ ძალის საშუალებით, თავიდგან აცილება ბევრ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგანაც არ არის საერთაშორისო სასამართლო, რომლის დამორჩილებაც ყველასათვის სავალდებულო იყოს, ან რომელსაც მოეპოვება საკმაო აღმასრულებელი ძალა საერთაშორისო სადავო საკითხების საბოლოოდ გადაწყვეტისათვის" ამას უნდა დაემატოს დღევანდელ პირობებში კლასობრივ ომის ახსნა და გამომწვევი მიზეზები, თუ გინდათ ისე, როგორც ეს არის მოყვანილი პირველ ფელეტონში.

(გაგრძელება იქნება)

ლ. ცაკარელი,

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1200. სამხედრო სტამბა პასუხის-მგებელი რედაქტორი — ლ. ჩანტლაძე.